



ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



14.02.2014

№ 6

სარჩევი

საქართველო.....	3
2014 წლის იანვრის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები	3
„ყაზტრანსგაზი“ დააჯარიმეს და აბონენტებს გადასახადის გადახდის უფლება პირველ მარტამდე მისცეს.....	4
„ანადოლუ ჯგუფი“ „ფარავანჰესის“ დასრულების შემდეგ ენერგეტიკის სექტორში ახალი ინვესტიციის ჩადებას გეგმავს.....	5
რეგიონი	6
Gazprom-ი თურქეთისათვის ბუნებრივი აირის ძირითადი მიმწოდებელია.....	6
აზერბაიჯანი ალტერნატიული ენერჯის პროექტს 2015 წელს დაასრულებს.....	7
აზერბაიჯანში ახალი გაზსაცავის შექმნის მიზნით SOCAR-ი შეფასებითი ბურღვის სამუშაოებს ასრულებს	7
რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები	8
უკრაინა Gazprom-ს გაზის ვალს რამდენიმე თვეში გადაუხდის.....	8
RusHydro საიანო-შუმენსკაიას ჰესის შეკეთებას ასრულებს.....	9
რუსეთის მოხმარება 1.5%-ით დაეცა	10
ევროკავშირი	11
ლიტვის ქარის ენერჯის წარმოება 2013 წელს 11.5%-ით გაიზარდა.....	11
EBRD-ი ხორვატიის ენერჯო ეფექტურობისთვის სესხს გამოყოფს	12
სერბეთში 143 მცირე ჰესის მშენებლობას გეგმავენ	13
მსოფლიო.....	14
მსოფლიოს უდიდესი მზის ელექტროსდგური გაიხსნა	14
ჩინეთმა ბუნებრივი აირის დიდი საბადო აღმოაჩინა.....	15
ანალიტიკა	16
ესტონეთი ქარის ენერჯიას სწრაფად ავითარებს	16

2014 წლის იანვრის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2014 წლის იანვრის თვეში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერჯის რაოდენობამ 134 478 688 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 13.7%-ს წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერჯის ღირებულებამ 14 936 151 ლარი შეადგინა.

იანვრის საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო შეწონილი ფასი ერთ კილოვატ საათზე 11.1067048 თეთრი დაფიქსირდა. დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერჯის ფასმა კი 7.492 თეთრი/კვტ.სთ შეადგინა.



იანვრის თვეში ესკომ განახორციელა ელექტროენერჯის იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან როგორც კომერციული, ასევე ავარიული ხელშეკრულებით. მომწოდებლების წილობრივი მაჩვენებლები საბალანსო ელექტროენერჯის მთლიან მოცულობაში ასეთია: ჰიდროელექტროსადგურები – 6.5%, იმპორტი – 93.5%.

2014 წლის იანვარში ესკო-დან საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა. მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 91% და 8.03%-ს შეადგენს. ამასთანავე, აფხაზეთის მოხმარება ნაწილობრივ უზრუნველყოფილ იქნა საბალანსო ელექტროენერჯით, რაც იანვრის თვეში შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის 0.97%-ს შეადგენს.

იანვრის თვეში გარანტირებული სიმძლავრის სამივე წყაროს მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 3 829 819 ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კილოვატ საათზე გადახდილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 0.51106968 თეთრი შეადგინა.¹

„ყაზტრანსგაზი“ დააჯარიმეს და აბონენტებს გადასახადის გადახდის უფლება პირველ მარტამდე მისცეს

საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკ) სალიცენზიო პირობების დარღვევის გამო „ყაზტრანსგაზ თბილისი“ 5 000 ლარით დააჯარიმა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სემეკ-მა დღევანდელ სხდომაზე მიიღო. სხდომას კომისიის სამი წევრი ესწრებოდა და „ყაზტრანსგაზ თბილისის“ დაჯარიმებას სამივე წევრმა დაუჭირა მხარი.



KazTransGas

საქმე ეხებოდა „ყაზტრანსგაზ თბილისის“ მიერ 2013 წლის დეკემბერსა და 2014 წლის იანვარში მოქალაქეთა მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის აღრიცხვის წესის დარღვევას, რის გამოც მოქალაქეებს მიმდინარე წლის იანვარში გაზრდილი გადასახადები მიუვიდათ.

გარდა დაჯარიმებისა, კომისიის გადაწყვეტილებით, იმ მომხმარებლებს, რომლებსაც ბუნებრივ გაზის ჩვენების ერთ ქვითარში ასახვითა და გაერთიანებული გადასახადის წარდგენით გაუუარესდათ მდგომარეობა, დარიცხული თანხის გადახდა შეეძლებათ მიმდინარე წლის პირველ მარტამდე.

როგორც სემეკ-ის თავმჯდომარე ირინა მილორაჟამ სხდომაზე განაცხადა, 2013 წლის დეკემბრისა და 2014 წლის იანვრის თვეებში ბუნებრივი გაზის მოხმარების ერთ ქვითარში ასახვით "ყაზტრანსგაზ თბილისმა" დაარღვია სემეკ-ის 2009 წლის 9 ივლისის N 12 დადგენილებით დამტკიცებული "ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების

¹ http://esco.ge/index.php?article_id=130&clang=0

წესების" I, მე-2 და მე-10 მუხლების მოთხოვნები, რაც ამავდროულად წარმოადგენს „ყაზტრანსგაზ თბილისის“ მიერ სალიცენზიო პირობების დარღვევას.

სხდომას ესწრებოდა "ყაზტრანსგაზ თბილისის" სპეციალური მმართველი ირაკლი გაბუნიაც, რომელმაც განაცხადა, რომ არ ეთანხმება სემეკ-ის გადაწყვეტილებას ჯარიმის ნაწილში, თუმცა არ გამორიცხავს ამ გადაწყვეტილებას სასამართლოში გასაჩივრებას. სხდომას ესწრებოდა მომხმარებელთა ინტერსების საზოგადოებრივი დამცველის მოვალეობის შემსრულებელი ნინო გულიეშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ სემეკ-ის გადაწყვეტილება კანონიერია.²

„ანადოლუ ჯგუფი“ „ფარავანჭესის“ დასრულების შემდეგ ენერგეტიკის სექტორში ახალი ინვესტიციის ჩადებას გეგმავს

თურქული კონგლომერატი „ანადოლუ ჯგუფი“ საქართველოს ენერგეტიკაში ინვესტირებას მიმდინარე წელს კვლავ გეგმავს. ამის შესახებ განცხადებას „კომერსანტთან“ კონგლომერატის ქართული შვილობილი კომპანია „ჯორჯიან ურბან ენერჯის“ ხელმძღვანელი აკეთებს.

ნოდარ კურტიანიძის განცხადებით, კომპანია ივნისში „ფარავანჭესის“ პროექტს დაასრულებს, ხოლო შემდეგ ენერგეტიკის სამინისტროს ჰესების ნუსხიდან შერჩეული პროექტის განხორციელებას დაიწყებს.

რომელ რეგიონში გეგმავს კომპანია ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას, კურტიანიძე ამ ეტაპზე არ ახმაურებს, თუმცა აცხადებს, რომ პროექტი „ფარავანჭესზე“ მეტი სიმძლავრის ელექტროსადგურის აშენებას ითვალისწინებს.

მისივე თქმით, სამიზნე პროექტი შერჩეული აქვთ და უახლოეს მომავალში სამშენებლო სამუშაოებს დაიწყებენ. „ანადოლუ ჯგუფი“ საქართველოში ამ დროისთვის 177 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების 87 მეგავატი სიმძლავრის „ფარავანჭესის“ მშენებლობას ახორციელებს.³



² <http://news.ge/ge/news/story/79707-semek-ma-yaztransgaz-tbilisi-5-000-larit-daaajarima>

³ <http://commerzant.ge/?page=news&id=6390>

Gazprom-ი თურქეთისათვის ბუნებრივი აირის ძირითადი მიმწოდებელია

თურქეთის ბუნებრივი აირის იმპორტის ნახევარზე მეტი გასულ წელს რუსეთის სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ ენერჯოგიგანტ Gazprom-ზე მოვიდა და მან 45 მლრდ.კუბ.მ მთლიანი იმპორტიდან 26.6 მლრდ. კუბ.მ შეადგინა.



რუსეთის უდიდესი კომპანია ერთ-ერთი წამყვანია თურქეთის ბუნებრივი აირით მომმარეგებლებს შორის. მის მიერ ევროპისთვის მიწოდებული ბუნებრივი აირის 16% თურქეთზე მოვიდა.

Gazprom-მა გასულ წელს ევროპაში 162.7 მლრდ. კუბ.მ

ბუნებრივი აირის ექსპორტი განახორციელა. აქედან 26.6მლრდ.კუბ.მ, ანუ 16% თურქეთს მიაწოდა.

ენერჯოდეფიციტში მყოფი თურქეთი, რომელმაც 2013 წლის განმავლობაში საკუთარი 47 მლრდ.კუბ.მ ბუნებრივი აირი აწარმოა, მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის დამოკიდებულია კონტრაქტებზე ისეთ მიმწოდებლებთან როგორცაა ირანი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ალჟირი და ნიგერია.

თურქული კერძო კომპანიების ბუნებრივი აირით მომარაგების მიზნით Gazprom-მა გასული წლის ნოემბერში გრძელვადიანი ხელშეკრულება გააფორმა.

რუსული კომპანია ევროპის გაზის მოთხოვნის მეოთხედს ფარავს, რაც წელიწადში 150 მლრდ.კუბ.მ-ს შეადგენს. ევროპელი მომხმარებლები შეეცადნენ ეპოვათ გაზის რუსული მწარმოებლის ალტერნატივა, რადგანაც რუსული კონტრაქტები ნავთობის ფასთან არის მიბმული და ზოგადად მას სპოტ-ბაზრებთან შედარებით აძვირებს.⁴

⁴<http://www.hurriyetdailynews.com/gazprom-top-natural-gas-supplier-of-turkey.aspx?pageID=238&nID=61954&NewsCatID=348>

აზერბაიჯანი ალტერნატიული ენერჯის პროექტს 2015 წელს დაასრულებს

აზერბაიჯანის ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის სახელწიფო სააგენტოს ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, ქვეყანა ალტერნატიული ენერჯის პროექტს, რომელიც აზერბაიჯანის სხვადასხვა რეგიონში გეოთერმული ელექტროსადგურების მშენებლობის ნაწილია, 2015 წელს დაასრულებს.



სააგენტოს განცხადებით, პროექტი, რომელიც 2011-2015 წლებს მოიცავს, გეოთერმული პოტენციალის შესაფასებელი კვლევების დაწყებას, ექსპერტთა მოწვევას და სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბებას გულისხმობს.

პროექტი მოიცავს ხაჩმაზს, ლანკარანს, მასალსა და ქვეყნის სხვა რეგიონებს.

აზერბაიჯანს ალტერნატიული ენერჯის განვითარების დიდი რესურსი აქვს. კერძოდ, ქარის ენერჯის პოტენციალი ქვეყანაში 4 500 მგვტ.-ს აღწევს, ბიომასის - 1 500 მგვტ.-ს, გეოთერმული ენერჯის პოტენციური სიმძლავრე 800 მგვტ.-ია, ხოლო მცირე ჰესების პოტენციალი - 350 მგვტ.ს შეადგენს.

2020 წლისთვის აზერბაიჯანში მზის ენერჯის წილი ალტერნატიულ ენერჯიაში 40% იქნება, ხოლო ქარის ენერჯის კი - 28%. იმავე წლისთვის იგეგმება, რომ ქვეყნის მთლიან მოხმარებაში ალტერნატიული ენერჯის წილი 20%-მდე გაიზარდოს.⁵

აზერბაიჯანში ახალი გაზსაცავის შექმნის მიზნით SOCAR-ი შეფასებითი ბურღვის სამუშაოებს ასრულებს

როგორც SOCAR-მა განაცხადა, ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიწისქვეშა გაზსაცავის შექმნის ფარგლებში კომპანია SOCAR-ი (აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია) უახლოეს დღეებში მესამე შეფასებითი ჭაბურღილის ბურღვას დაიწყებს. დაზვერვითი ჭაბურღილის ბურღვა „ნაჰრიამის“ მარილის საბადოების ბაზაზე „ტუმბულის“ მონაკვეთზე წარმოებს.

მეორე ჭაბურღილის სიღრმე ამ ეტაპისთვის 725 მეტრს აღწევს (დაგეგმილი 820-დან). „დიდი ალბათობით შეილება ვივარაუდოთ, რომ ბურღვა ამ სიღრმეზე დასრულდება“, - აღნიშნა კომპანიის წარმომადგენელმა.

⁵ <http://energy.tdprofiti.com/azerbaijan-to-complete-realization-of-alternative-energy-project-in-2015-2.html>

მანამდე SOCAR-მა დაასრულა პირველი შიფასებითი ჭაბურღილის ბურღვა, რომლის სიღრმემ 1200 მეტრს გადააჭარბა.

ამჟამად ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკის ბუნებრივი აირით მომარაგების მიზნით აზერბაიჯანი ირანთან სვოპ-მიწოდებებს ახორციელებს. ავტონომიური რესპუბლიკის გაზომომარაგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად მიღებულ იქნა მარილის საბადოს ბაზაზე მიწისქვეშა გაზსაცავის შექმნის გადაწყვეტილება. 200-300 მილიონი კუბური მეტრის მოცულობის მიწისქვეშა გაზსაცავი ნახიჩევანისათვის საკმარისი იქნება გაზზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

სომხეთის მიერ აზერბაიჯანის 20%-ის ოკუპაციის გამო ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა ბლოკადაში იმყოფება.

როგორც ადრე SOCAR-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ხოშბატ იუსუფზადემ აღნიშნა, პირველადი მონაცემების თანახმად, მარილის განფენის სიღრმე 52 მეტრს შეადგენს, მაშინ როდესაც 40 მეტრიანი სისქე უკვე მიზანშეწონილად ითვლება მიწისქვეშა გაზსაცავის შექმნისათვის.

ამჟამად აზერბაიჯანში ორი - ყალმაზისა და გარადალის მიწისქვეშა გაზსაცავი ფუნქციონირებს.⁶

რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები

უკრაინა Gazprom-ს გაზის ვალს რამდენიმე თვეში გადაუხდის



უკრაინის ენერგეტიკისა და ქვანახშირის მინისტრის ედუარდ სტავიცკის განცხადებით, უკრაინა რუსული ბუნებრივი გაზის საფასურს Gazprom-ს მომდევნო რამდენიმე თვეში გადაუხდის. მინისტრის ცნობით, სახელმწიფო ნავთობისა და გაზის კომპანია Naftogaz Ukrainy რესტრუქტურის ნაცვლად სრულად გადაიხდის ვალს, რომელმაც უკვე 3.3 მლრდ. აშშ. დოლარს მიაღწია, აქედან კი იანვრის დავალიანება 500 მლნ.აშშ.დოლარს შეადგენს.

2009 წელს Gazprom-სა და Naftogaz-ს შორის დადებული 10 წლიანი კონტრაქტის მიხედვით, ამ უკანასკნელმა გაზის მიწოდების სანაცვლოდ ყოველთვიური გადახდები

⁶ <http://www.trend.az/capital/energy/2238659.html>

უნდა განახორციელოს, თუმცა უკრაინულ მხარეს ბოლო 5 თვეა არაფერი გადაუხდია, რაც იმას ნიშნავს რომ Naftogaz-ს აგვისტოს შემდეგ არანაირი ფულადი ტრანზაქცია რუსეთის მიმართულებით არ განუხორციელებია.

Naftogaz-ის განცხადებით, ადგილობრივი გაზის კომპანიების ვალი გასული 3 თვის განმავლობაში 1.17 მლრდ.აშშ.დოლარით გაიზარდა და ჯამში 3.16 მლრდ.აშშ.დოლარს მიაღწია, რაც თითქმის Gazprom-ის დავალიანების ტოლია.

უკრაინის საინფორმაციო სააგენტოს Kommersant-Ukraine-ს ცნობით, უკრაინის მხარე იმედოვნებდა ვალის გადახდას იმ 2 მლრდ.აშშ.დოლარის ოდენობის ტრანშიდან, რომელსაც უკრაინა რუსეთისგან მოელოდა. თუმცა, რუსეთმა აღნიშნული ტრანში არ გამოყო, რომლის მიზეზად ახალი სამთავრობო კაბინეტის დაკომპლექტების მოლოდინი დაასახელა.⁷

RusHydro საიანო-შუმენსკაიას ჰესის შეკეთებას ასრულებს

RusHydro-მ საიანო-შუმენსკაიას ჰესის შეკეთების დასრულების გეგმა წარმოადგინა, რომელიც 2014 წლის ბოლომდე უნდა განხორციელდეს. კომპანიის განცხადებით, მე-4 ტურბინაზე ძირითადი სამუშაოები დასრულებულია და ის ოპერირებას მიმდინარე წლის მარტში დაიწყებს. მათი თქმით, მე-2 და მე-3 ტურბინაც დაიწყებენ მუშაობას წლის ბოლომდე. სამივე ტურბინის გაშვების შემდეგ, სარემონტო სამუშაოები საბოლოოდ დასრულდება.



RusHydro

ძირითადი მექანიკური ხარვეზი 2009 წლის 17 აგვისტოს გამოჩნდა ჰესის მახლობლად საიანოგორსკში, რაც რუსეთის ენერგო გიგანტისათვის მნიშვნელოვანი დარტყმა იყო. ენერგო სადგურზე მე-2 ტურბინა გამოვიდა მწყობრიდან, რამაც ჯამურად 10-დან 9 ტურბინა გაანადგურა და 75 ადამიანი იმსხვერპლა. მე-4 ტურბინა იყო ერთ-ერთი ბოლო, რომელიც 2009 წლის კატასტროფის შემდეგ დაზიანდა. იგი ახლიდან 2010 წელს ამუშავდა, თუმცა გასულ წელს კვლავ გააჩერეს სარემონტო სამუშაოების გამო.

⁷ NewsBase FSU, Oil&Gas Monitor, Issue 769, 12 february 2014, Ukraine says it will pay gas debt to Gazprom over the next few months

საიანო-შუშენსკაიას ჰიდროელექტროსადგურზე ამჟამად შვიდი 640 მგვტ. სიმძლავრის ტურბინა მუშაობს, რომელიც ჯამურად 4 480 მგვტ. სიმძლავრეს ქმნის. აღნიშნული სადგური RusHydro-ს ძირითადი ენერგო ობიექტი იყო. 2009 წლის კატასტროფამდე 6 400 მგვტ. სიმძლავრის ჰესი, წლიური გამომუშავების მიხედვით, რუსეთის ყველაზე დიდი და მსოფლიოში მეექვსე ჰიდროელექტროსადგური იყო.


კომპანიის განცხადებით, ისინი მომდევნო 10 წლის მანძილზე დაზარალებულ ოჯახებს დახმარებას მუდმივად აღმოუჩენენ, რაც ფინანსურ გადახდებს გულისხმობს იმ ოჯახებისთვის, რომლებსაც 18 წლამდე შვილები ყავთ.

2010-2011 წლებში RusHydro-მ ყველაზე ნაკლებად გაფუჭებული 3-ე, 4-ე, 5-ე და 6-ე ტურბინები შეაკეთა. ხოლო 2012-2013 წლებში სრულიად ახალი 1-ლი, 7-ე, 8-ე, 9-ე და 10-ე ტურბინები დაამონტაჟა.⁸

რუსეთის მოხმარება 1.5%-ით დაეცა

რუსეთის ენერჯის მოხმარება იანვრის თვეში 1.5%-ით, 99.7 მლრდ.კვტ.სთ-მდე შემცირდა. ყველაზე დიდი შემცირება დაფიქსირდა თბოსადგურების სექტორში - 4.8%. თავის მხრივ ჰესების გამომუშავება გაიზარდა 14.7%-ით გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით. მთლიანი მოხმარება შეფასდა 99.7 მლრდ.კვტ.სთ-ით, საიდანაც 1.6 მლრდ.კვტ.სთ მოიხმარეს ე.წ. „იზოლირებულმა“ ტერიტორიებმა, როგორცაა ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი, რომლებიც ეროვნულ ქსელთან არ არიან დაკავშირებულნი. ორივე რეგიონში მოხმარება 1.5%-ით შემცირდა.

იზოლირებული ენერგო სისტემები არსებობს ტამირის, კამჩატკის, სახალინის, მაგადანისა და ჩუკოტკის რეგიონებში, ისევე როგორც ცენტრალურ და დასავლეთ იაკუტიაში. ნავარაუდები იყო, რომ რუსეთის მთლიანი გენერაცია იანვრის თვეში 101.1 მლრდ.კვტ.სთ, ანუ 2.1%-ით ნაკლები იქნებოდა, ვიდრე 2013 წელს.



ენერგო სადგურებმა, რომლებიც სახელმწიფო ქსელზეა მიერთებული, 98.8 მლრდ.კვტ.სთ ენერჯია გამოიმუშავეს. თბოსადგურებმა ყველაზე მეტი ელ.ენერჯია გამოიმუშავეს - 62.5 მლრდ.კვტ.სთ, მაშინ როცა ჰესების გამომუშავებამ 15.1 მლრდ.კვტ.სთ

⁸ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, 12 February 2014, RusHydro to finish repairs to Sayano-Shushenskaya HPP


შეადგინა. ბირთვული გენერაცია გაიზარდა 6.4%-ით 16 მლრდ.კვტ.სთ-მდე. იანვარში ნავარაუდები იყო, რომ მაქსიმალური დატვირთვა 154.699 მგვტ. იქნებოდა, ანუ 2013 წლის იმავე პერიოდის დატვირთვაზე. 5.2%-ით მეტი.

მოხმარების ყველაზე დიდი დონე დაფიქსირდა ნავთობით მდიდარ ტიუმენის რეგიონში, ისევე როგორც კალინინგრადის, კალუგასა და კრასნოდარის მხარეში, სადაც ზამთრის ოლიმპიური თამაშები მიმდინარეობს.

2013 წლის მთლიანი მოხმარებამ 1.031 ტრილიონი კვტ.სთ შეადგინა, რაც 2012 წლის მაჩვენებელზე 0.6%-ით ნაკლებია. აქედან 1.009 ტრილიონი კვტ.სთ სისტემას ადგილობრივმა ქსელმა მიაწოდა.⁹

ევროკავშირი

ლიტვის ქარის ენერჯის წარმოება 2013 წელს 11.5%-ით გაიზარდა



**Lithuanian
Wind Energy
Association**

ლიტვის ქარის ენერჯო სექტორში 2013 წელს გამომუშავებამ 600 მლნ.კვტ.სთ ელექტროენერჯია შეადგინა, რაც 2012 წლის მაჩვენებელთან (538 მლნ.კვტ.სთ) შედარებით 11.5%-ით მაღალია. ქარის ენერჯის წილი ქვეყნის მთლიან გენერაციაში 6%-ს შეადგენს.

2013 წლის ბოლოს ბალტიის რეგიონის ქვეყნების ქარის ენერჯის დადგმული სიმძლავრე 279 მგვტ.-ს შეადგენდა. ეს რიცხვი წინა წელთან შედარებით 16 მგვტ.-ით, ანუ 6.1%-ით გაიზარდა. „ლიტვის ქარის ენერჯის ასოციაციის“ დირექტორი საულიუს პიკსრისი იმედოვნებს, რომ მომავალში ქვეყნის სიმძლავრე ქარის ენერჯის მიმართულებით კიდევ უფრო გაიზრდება და აკრიტიკებს

მთავრობის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ქარის სადგურებს 500 მგვტ. სიმძლავრის გადამცემ ხაზთან დაკავშირების შეზღუდვა დაუწესდათ.

⁹ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, 12 February 2014, Russian consumption falls 1.5%

პიკსრისის განცხადებით, ლიტვაში კიდევ უფრო მეტი ელ.ენერჯის წარმოების შესაძლებლობაა ქარის სადგურების საშუალებით, მაგრამ ამისათვის გადამცემი ხაზის 500 მგვტ. სიმძლავრის გაზრდაა აუცილებელი, რათა მოხდეს ქარის ენერჯის სტაბილური მიწოდება. „მაშინ, როცა ბიზნესმენები მზად არიან ქარის ენერჯიაში სამომავლო ინვესტირებისათვის, ტექნოლოგიური უპირატესობების გამოყენებას ელ.ენერჯიაზე ფასების შემცირების პოტენციალი გააჩნია. ამისათვის კი მთავრობის კეთილი ნებაც უნდა არსებობდეს,“ - აცხადებს პიკსრისი.

მთავრობამ ამჟამად არსებული გადამცემი ხაზის სიმძლავრე, რომელიც 500 მგვტ.-ია, 2013 წელს პროპორციულად გადაანაწილა ქარის ენერჯის მწარმოებელ კომპანიებზე, რომელთა შორისაც უპირატესობა მიენიჭა იმ კომპანიებს, რომლებმაც ელ.ენერჯის შესყიდვის დაბალი ტარიფების შეთავაზება მოახდინეს.¹⁰

EBRD-ი ხორვატიის ენერჯო ეფექტურობისთვის სესხს გამოყოფს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ხორვატიაში ენერჯოეფექტურობის პროექტების დასაფინანსებლად 2 სესხს გამოყოფს, ჯამში 15 მილიონი ევროს ოდენობით. პირველი სესხის მოცულობა 10 მილიონ ევროს შეადგენს და ხორვატიის Erste ბანკის საშუალებით კერძო კომპანიებსა და მუნიციპალიტეტებს შორის მოხდება მისი განაწილება განახლებადი ენერჯისა და ენერჯოეფექტური პროექტების განხორციელების მიზნით.

წარმოდგენილი სესხი Western Balkans Sustainable Energy Efficiency Facility II (WeBSEFF II) პროექტის ფარგლებში გაიცა, რომელიც გასულ წელს ამოქმედდა და ითვალისწინებს რეგიონში ენერჯის კონსერვაციისა და ეფექტური გამოყენების მხარდაჭერას.

„პროექტი სექტორისათვის გრძელვადიანი ფინანსური და ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარებას გულისხმობს, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხოლმე დარგის განვითარებისათვის,“ - აცხადებს EBRD-ის წარმომადგენელი. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში Erste ბანკი გახდება მეოთხე მონაწილე ბანკი, რომელიც ხელს მოაწერს გამოყოფილი სესხების განაწილების უზრუნველყოფაზე. EBRD 5 მილიონი ევროს ოდენობის სესხს გამოუყოფს სერბეთის



¹⁰ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, 12 February 2014, Lithuanian wind energy output rises 11.5% in 2013

Atlantic Grupa-ს, რომელიც ენერგოეფექტურობისა და რესურსების ეფექტური გამოყენების საკითხებზე მუშაობს.¹¹

სერბეთში 143 მცირე ჰესის მშენებლობას გეგმავენ

სერბეთის ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტრო ქვეყნის მასშტაბით 20 სხვადასხვა ადგილზე 143 მცირე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე პოტენციური ინვესტორებთან შეხვდა. ჰესების დადგმული ჯამური სიმძლავრე 57 მგვტ. იქნება. ჰესების უმეტესობა (22 ჰესი) ვრანჟეს მუნიციპალიტეტში აშენდება, 13 ჰესი - კრუპანჟისა და კაჟეტინას, ხოლო 12 - კნჟაზევაცის მუნიციპალიტეტებში. ინვესტიციის სავარაუდო ჯამური მოცულობა 130 მილიონ ევროს (178 მლნ.აშშ დოლარი) შეადგენს.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა შესაბამისი შეთავაზებები თებერვლის ბოლოს უნდა გააკეთონ. თითოეულ მათგანს მაქსიმუმ 10 ადგილის ათვისება შეეძლება და საჭირო ნებართვების მოპოვებისთვის 12 თვე გამოეყოფა. სამინისტრო იმედოვნებს, რომ წინასწარ კონტრაქტებს უკვე მაისის ბოლომდე მოაწერენ ხელს.

2013 წლის იანვარში სერბეთის მთავრობამ ახალი „ფიდ-ინ“ (FiT) ტარიფი შემოიღო ქვეყანაში, რათა ფინანსური სტიმული მიეცა კომპანიებისთვის განახლებადი ენერჯის ათვისების მიმართულებით. აღნიშნული სატარიფო სისტემა 12 წლის მანძილზე იქნება ძალაში.

FiT სისტემა დაეხმარება სერბეთს 2020 წლისათვის გაზარდოს ელ.ენერჯის გამომუშავების წილი განახლებადი ენერჯიებიდან არსებული 21.2%-დან 27%-მდე. ამ სისტემით ყოველ წარმოებულ კვტ.სთ-ზე ელ.ენერჯის ფასი 0.1-0.19 აშშ ცენტი იქნება.

სერბეთის სახელმწიფო ენერჯო კომპანია Elektroprivreda Srbije-ს (EPS) ენერჯო სადგურების ჯამური სიმძლავრე 7 120 მგვტ.-ს შეადგენს, მათგან ჰესებზე 2 831 მგვტ. მოდის და წლიურად 10-12 მლრდ.კვტ.სთ ელ.ენერჯის წარმოება შეუძლიათ, რაც ქვეყნის მთლიანი წარმოების 1/3-ს შეადგენს.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ სერბეთს 850 პოტენციური ადგილი გააჩნია, სადაც მცირე სიმძლავრის ჰესების მშენებლობა შეიძლება. დაშვებების მიხედვით, ქვეყანას წლიურად ჰესებიდან დამატებით 7 მლრდ.კვტ.სთ ელ.ენერჯი წარმოება შეუძლია, რომლიდან 1.8 მლრდ.კვტ.სთ მცირე ჰესებზეა გათვლილი.¹²

¹¹ NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, 12 February 2014, EBRD lends to promote energy efficiency in Croatia

¹² NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, 12 February 2014, Serbia hopes to build 143 small HPPs

მსოფლიოს უდიდესი მზის ელექტროსადგური გაიხსნა

Ivanpah-ს მზის ელექტროსადგური, რომელიც მსოფლიოს უდიდესი მზის ენერჯის წყარო გახდა, ოფიციალურად 13 თებერვალს გაიხსნა. სადგურის დადგმული სიმძლავრე 392 მგვტ.-ია და მას 140 000 ოჯახის დაკმაყოფილება შეუძლია ელექტროენერჯით. 2.2 მლრდ. აშშ დოლარის ღირებულების სადგური მოჰავეს



უდაბნოში მდებარეობს. ის ერთობლივი საწარმოს მფლობელობაშია, რომელშიც შედიან: NRG Energy, Google და Brightsource Energy.

Ivanpah-ს სადგური მზის კონცენტრირებულ ენერჯას გამოიყენებს. სადგური შედგება ათასობით მოძრავი სარკისგან, რომლებიც მზის სხივების ერთ

წერტილში ფოკუსირებას ახდენენ, კერძოდ კი კომპურაზე, სადაც დამონტაჟებულია წყლის ქვაბი. ქვაბის გაცხელებით წარმოიშვება ორთქლი, რომელზეც ელექტროენერჯის გამომმუშავებელი ტურბინები მუშაობენ.

პროექტმა 1.6 მლრდ. აშშ დოლარის სესხის საბანკო გარანტია აშშ ენერჯეტიკული დეპარტამენტიდან მიიღო. მოცემულ სადგურს ელექტროენერჯის დიდი რაოდენობის წარმოება შეუძლია წელიწადის ნებისმიერ დროს. ეს სადგური მიუთითებს ასევე მზის ენერჯის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებაზე. მზის ენერჯის წარმოებაში დღითი-დღე მცირდება წარმოების ხარჯები და იხვეწება ტექნოლოგიები. მიუხედავად იმისა, რომ მზის ენერჯია აშშ-ის ენერჯიაზე მოთხოვნის მხოლოდ 1%-ს აკმაყოფილებს, ის 140 000 ადამიანს ასაქმებს, მეტს ვიდრე ნახშირის ინდუსტრია, სადაც დასაქმებულთა რაოდენობა 90 000-ით ნაკლებია.

მიუხედავად Ivanpah-ს სადგურის ეფექტურობისა, მომავალში ნაკლებად სავარაუდოა მოცემული ტექნოლოგიების გამოყენება მზის ენერჯიაში, რადგან მას ძალიან დიდი ფართობი ესაჭიროება და ტექნოლოგიურად რთულია. მზის ენერჯიაში უპირატესობა ენიჭება ფოტოვოლტანურ პანელებს, რომლებიც შენობების სახურავზე ადვილად მონტაჟდება. ფოტოვოლტანური პანელების კიდევ ერთი უპირატესობა ის არის, რომ ის არ საჭიროებს შორ მანძილებზე ელექტროენერჯის გადამცემი ხაზების მშენებლობას, განსხვავებით სარკისებრი ტექნოლოგიისგან, რომლის სადგურებიც

ჩვეულებრივ დასახლებული პუნქტებიდან შორს, უმეტესად უდაბნოებში შენდება და საჭიროებს ენერჯის ტრანსმისიას შორ მანძილებზე.¹³

ჩინეთმა ბუნებრივი აირის დიდი საბადო აღმოაჩინა

„ჩინეთის ეროვნულმა ნავთობკორპორაციამ“ (CNPC) სიჩუანის პროვინციაში ბუნებრივი აირის დიდი საბადოს აღმოჩენის შესახებ განაცხადა. CNPC-ის შვილობილი კომპანიის PetroChina-ს მიერ აღმოჩენილი საბადოს მარაგი 440 მლრდ. კუბ.მ. ბუნებრივი აირია, საიდანაც 308 მლრდ. კუბ.მ.-ის მოპოვება ტექნიკურად შესაძლებელია. ეს რაოდენობა კი მთლიანი ჩინეთის ეკონომიკას 2 წლის განმავლობაში ეყოფა. აღმოჩენა ბედის საჩუქარია ჩინეთის მთავრობისთვის, რომელიც უიმედოდ ცდილობს ქვეყანაში საშინელი ეკოლოგიური მდგომარეობის (ჰაერის დაბინძურების) გამოსწორებას. მთავრობა ცდილობდა ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურები ბუნებრივ აირზე მომუშავე სადგურებით ჩაენაცვლებინა, რისთვისაც მას კიდევ უფრო მეტი ბუნებრივი აირის იმპორტირება მოუწევდა. დღესდღეობით ჩინეთი მსოფლიოში ბუნებრივი აირის მოხმარების მხრივ მეოთხე ადგილზეა და კიდევ უფრო მეტად აპირებს ამ რესურსის გამოყენებას.



PetroChina

PetroChina უკვე მოიპოვეს 1.1 მლნ. კუბ.მ. ბუნებრივ აირს სატესტო საბადოდან და იმედოვნებს, რომ საბადოს განვითარების პირველ ეტაპზე წელიწადში 4 მლრდ.კუბ.მ.-ის, ხოლო მეორე ეტაპზე 6 მლრდ. კუბ.მ.-ის მოპოვებას შეძლებს. CNPC-იმ საკუთარ ვებ-გვერდზე უკვე გამოაქვეყნა ანგარიში, სადაც ის აცხადებს, რომ ამ დიდი აღმოჩენის შედეგად ქვეყნის ბუნებრივი აირის გამანაწილებლები ბუნებრივი აირს უხვად მიიღებენ.

PetroChina-ს აღმოჩენას და საბადოს განვითარებას, წარმატების შემთხვევაში, შეუძია მომავალ წლებში მოსალოდნელი გათხევადებული ბუნებრივი აირის იმპორტის ნაწილი შიდა რესურსით ჩაანაცვლოს. ჩინეთმა 2013 წელს 169 მლრდ.კუბ.მ. ბუნებრივი აირი მოიხმარა და მასში 53 მლრდ. კუბ.მ. (32%) იმპორტია. თუ ჩინეთი გარკვეულ დროში მოახერხებს და წელიწადში 10 მლრდ. კუბ.მ. ბუნებრივი აირის წარმოებას შეძლებს, ის იმპორტის ნაწილს ჩაანაცვლებს და ასევე ცენტრალური მთავრობის გეგმასაც შეუწყობს ხელს, რომელიც ელ.ენერჯის გენერაციაში ქვანახშირის ჩაანაცვლებას ბუნებრივი აირით აპირებს, ეს კი აუცილებლად მოახდენს გავლენას ქვანახშირის მსოფლიო ბაზარზე.¹⁴

¹³ <http://oilprice.com/Latest-Energy-News/World-News/Worlds-Largest-Solar-Plant-Comes-Online.html>

¹⁴ <http://oilprice.com/Latest-Energy-News/World-News/China-Makes-Large-Natural-Gas-Discovery.html>

ესტონეთი ქარის ენერჯიას სწრაფად ავითარებს

ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს შორის ეკონომიკის ყველა დარგში დიდი კონკურენციაა. რაც შეეხება ქარის ენერჯიას, ესტონეთმა ამ დარგში შთამბეჭდავი სტარტი



აილო. ის 2015 წლის ბოლომდე ბალტიის ზღვის ოფშორში ქარის ენერჯიის დადგმული სიმძლავრის 1500 მგვტ.-მდე გაზრდას გეგმავს.

ნორვეგიულ-ესტონური კომპანიის JSC Nelja Energia-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ბალტიის აუზში უფრო ხელსაყრელი პირობებია ქარის ენერჯიისთვის, ვიდრე

ჩრდილოეთის ზღვაში და ატლანტიკის ოკეანის ევროპის სანაპიროებზე. ესტონეთმა მოცემულ დარგში 545 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია უკვე განახორციელა და 250 მგვტ. სიმძლავრე შემატა თავის ქსელს, განახლებადი ენერჯიის განვითარებით რეგიონის ლიდერ ქვეყანად მოგვევლინა.

შვედეთის მეტეოროლოგიური ინსტიტუტის კვლევების მიხედვით, ბალტიის ზღვაში ქარის სადგურების ერთი მეგავატი სიმძლავრის მშენებლობის ხარჯი 1.4 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია, ჩრდილოეთის ზღვაში მშენებლობასთან შედარებით. ასევე, კვლევით ინსტიტუტში აცხადებენ, რომ ბალტიის აუზში ქარის სიჩქარეც უფრო მაღალია, ხოლო რეგიონში ერთ-ერთ ყველაზე მაღალი სიჩქარე ესტონეთშია, სადაც მოცემული მაჩვენებელი რეგიონის საშუალოს საგრძნობლად აღემატება.

Nelja Energia მზად არის აითვისოს ესტონეთის ქარის ენერჯიის რესურსები. უახლოეს მომავალში კომპანია იწყებს 700-1000 მგვტ. სიმძლავრის ქარის სადგურების მშენებლობას კუნძულ ჰიუმას ირგვლივ. პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი მომზადების პროცესშია. კომპანიაში აცხადებენ, რომ მშენებლობისთვის აუცილებელ ყველა დოკუმენტაციას 2014 წლის შუა პერიოდამდე მოამზადებენ და მშენებლობა 2015 წლის დასაწყისში დაიწყება. პროექტის განხორციელების შემდეგ ქარის ენერჯიით შესაძლებელი იქნება წლიურად 2.4-3.8 ტერავატ საათი ელექტროენერჯიის გამომუშავება. მოცემული კომპანია კიდევ 500 მეგავატიანი პროექტის განხორციელებას გეგმავს.

ესტონეთში ქარის ენერჯის გამოიმუშავება 2012 წელს 23 %-ით გაიზარდა, 2013 წელს კი - 20%-ით. 2013 წლის შემოდგომაზე GE Power and Water-ის მიერ გაიხსნა ახალი ქარის სადგური, რომელიც 18 ქარის წისქვილისგან შედგება და თითოეულის სიმძლავრე 2.5 მგვტ.-ია.

ესტონეთის მთავრობის განცხადებით, სუბსიდია, რომელსაც ისინი ქარის ენერჯის მწარმოებლებს უხდიდნენ უფრო დიდი აღმოჩნდა, ვიდრე რეალურად საჭიროება. ამიტომ მათ 2014 წელს სუბსიდია ყოველ გამოიმუშავებულ კილოვატ საათზე 1.1 აშშ ცენტამდე შეამცირეს. 2013 წელს აღნიშნული სუბსიდია 1.2 ხოლო 2011 წელს 1.31 ცენტი იყო. მიუხედავად სუბსიდიის შემცირებისა, ინვესტორები კვლავ მოგებულნი რჩებიან ქარის ენერჯიაში პროექტების განხორციელებით.

ესტონეთისგან განსხვავებით, მეზობელ ლიტვაში ქარის ენერჯის განვითარების პროცესი შეჩერდა. ლიტვაში ქარის ენერჯის განვითარებას რამდენიმე ხელისშემშლელი ფაქტორი აფერხებს, მათ შორის: ქსელის გადატვირთვა და პოლიტიკური ნების არ ქონა ქარის ენერჯის სასარგებლოდ. ამის შესახებ ლიტვის ქარის ენერჯის განვითარების ასოციაციის ხელმძღვანელი აცხადებს. ის ასევე აღნიშნავს, რომ მიუხედავად პრობლემებისა ლიტვაშიც იგეგმება ახალი პროექტები ქარის ენერჯიაში. ექსპერტების აზრით, ლიტვის ქარის ენერჯის პოტენციალი 7000 მგვტ.-ია.¹⁵

¹⁵ <http://energy.einnews.com/article/189829307/FaB5izRzYSKwyN44?n=2&code=GC3nUIJkIECsLFtE>